კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I
ზოგადი აღწერილობა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - წესი) აწესრიგებს შპს „კავაკსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთვალდებულებებსა და განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის ერთიან მარეგულირებელ ნორმებს.
2. აღნიშნული წესი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის - პროფესორ-მასწავლებელთა, პერსონალისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სწავლების საფეხურები

1. უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგ საფეხურებზე:
   ა) ბაკალავრიატო;
   ბ) ერთსაფეხირიანი;
   გ) მაგისტრატურა;
   დ) დოქტორანტურა;
   ე) დიპლომისშემდგომი განათლება (რეზიდენტურა).

მუხლი 3. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის მიერ სასწავლო საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტები.
2. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში სტუდენტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებს.
3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის დებულება, ხოლო ფაკულტეტების სტრუქტურას, უფლება-მოვალეობებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის დებულება.
4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
5. ფაკულტეტების საქმიანობის ცენტრალიზებულად განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის მართვის სამსახური.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. **(01-24, 11.03.2022)**

თავი II
სასწავლო პროცესი

მუხლი 5. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას, რომლის ვადებს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სემესტრული სწავლის საფასურის მინიმუმ მესამედი ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება და ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი. დარჩენილი საფასურის გადახდა უნდა მოხდეს - არაუგვიანეს მე-6 კვირის ბოლოს 2/3 ნაწილი, სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებამდე - გადახდილი უნდა იყოს სემესტრის გადასახადი სრულად.
3. აკადემიური რეგისტრაცია იწყება სემესტრის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და სრულდება სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი უნივერსიტეტის ბაზასთან პირადი წვდომის საშუალებით რეგისტრირდება/ირჩევს შეთავაზებულ საგნებს. სტუდენტს რომელსაც არ ექნება გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, არ ექნება ბაზასთან წვდომის და აკადემიური რეგისტრაციის გავლის საშუალება.
4. კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხული აბიტურიენტები ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გადიან რეგისტრაციის გავლისათვის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში, რა დროსაც დადგენილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ სრული სემესტრული გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
5. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი სასწავლო ელექტრონულ ბაზასთან პირადი წვდომის საშუალებით ირჩევს მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულ ახალ სასწავლო კურსებს ან განვლილ სემესტრებში ჩაუბარებელ საგნებს.
6. ყველა სტუდენტისთვის სასწავლო ელექტრონულ ბაზაში ხელმისაწვდომია მისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სასწავლო კურსების სემესტრულად განაწილების სქემა. სტუდენტი სასწავლო გეგმის შესაბამისად რეგისტრირდება გასავლელ საგნებზე.
7. სტუდენტი თავისუფალია სასწავლო კურსების, ლექტორის და ჯგუფის არჩევანში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სასწავლო ცხრილის იმგვარ გადანაწილებას, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სასწავლო ცხრილის ეფექტურად დაგეგმვის შესაძლებლობა. ამასთან, უნივერსიტეტი ვერ დააკმაყოფილებს სტუდენტთა პრეტენზიებს, თუ მათთვის სასურველ ჯგუფში უკვე შევსებულია სტუდენტთა ზღვრული კვოტა, ან სტუდენტისთვის/სტუდენტთა ჯგუფისთვის მიუღებელია კონკრეტული ლექტორის არჩევა, ისე, რომ არ არსებობს სტუდენტთა გამოკითხვებით აღნიშნულ ლექტორზე სწავლებასთან, შეფასებასთან ან სტუდენტებთან დამოკიდებულებაზე არსებითად უარყოფითი შეფასებები.

მუხლი 6. სასწავლო პროცესი

1. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს:
   ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას;
   ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
   გ) პროფესიულ პრაქტიკას;
   დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
   ე) კვლევითი კომპონენტების შესრულებას;
   ვ) საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას;
   ზ) სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას;
   თ) სადოქტორო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას;
2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.
3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიულ საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

4. მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს (გარდა ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა), რომელსაც გავლილი და ჩაბარებული საგნებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა არ აძლევს საშუალებას სემესტრის განმავლობაში აიღოს 15 კრედიტზე მეტის შესატყვისი საგნები, სწავლის საფასურს გადაიხდის აღებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.
5. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებული თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები).
6. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.
7. სტუდენტის დატვირთვა სემესტრის განმავლობაში შესაძლებელია მოიცავდეს არაუმეტეს 34 კრედიტს. სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანის თანხმობით, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა შეიძლება გაიზარდოს სემესტრში 42 კრედიტამდე იმ პირობით, რომ ჯამში მისი წლიური დატვირთვა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს.

7[1]. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, მაგრამ პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. (**01-133, 11.12.2020**)

8. სასწავლო – აკადემიური წელი გათვლილია 38 კვირაზე, რომელიც მოიცავს სალექციო პერიოდს, დასკვნით და დამატებით გამოცდებს.
9. სალექციო პერიოდი მოიცავს 15 კვირას, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსით განსაზღვრული სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, კონსულტაციები, პრეზენტაციები და ა.შ.).
10. აკადემიური წელი არის ორ სემესტრიანი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, რომელთაგან 15 კვირა განკუთვნილია სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის და შუალედური გამოცდებისთვის, 3 კვირა დასკვნითი გამოცდებისთვის და 1 კვირა დამატებითი გამოცდებისათვის.
11. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორი სწავლებასა და სტუდენტთა შეფასებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე.
12. უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს ბაზარზე არსებულ შესაბამისი მიმართულების საქმიანობით დაკავებულ კომპანიებთან და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან.
13. სტუდენტები ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და არჩეული სასწავლო კურსების მიხედვით გადანაწილდებიან ჯგუფებში. ჯგუფში შესაძლებელია დარეგისტრირდეს არაუმეტეს 40 და არანაკლებ 15 სტუდენტისა, გარდა პრაქტიკული სწავლების ჯგუფებისა, სადაც არ არის მიზანშეწონილი 10-15 სტუდენტზე მეტის სწავლება. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შედარებით უფრო ნაკლები სტუდენტების რაოდენობის მქონე ჯგუფების შექმნა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესის შესაბამისად. (**01-120, 02.10.2023**)

მუხლი 7. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური სასწავლო პირობების შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებით.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მთავარი მიზანია უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, მისცეს მათ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები და შექმნას მათთვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებების მქონე სტუდენტების იდენტიფიცირება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების შევსებული ანკეტა-კითხვარის ანალიზისა და სტუდენტთა ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე. სტუდენტები რეგისტრაციის ფორმაში უთითებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდვების შესახებ. ამ ინფორმაციას აგროვებს სტუდენტთა მომსახურების სამსახური, ხოლო აკადემიური პროცესის მართვის სამსახური ახდენს შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიების კოორდინირებას ფაკულტეტების ჩართულობით. **(01-32, 27.03.2024)**
4. სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტთან გასაუბრების, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო ბარათის განხილვის შემდეგ, რის შედეგადაც იგეგმება მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი და სწავლების მეთოდები. **(01-32, 27.03.2024)**

4[1] პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საქმიანობის არასტანდარტული გრაფიკის მქონე, ასევე სპორტულ, კულტურულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ ან/და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული სტუდენტებისათვის საქმიანობაზე მორგებული სასწავლო გრაფიკის განსაზღვრას. **(01-32, 27.03.2024)**

5. უნივერსიტეტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების მქონე სტუდენტთა კატეგორიებს და შესაბამის საშეღავათო პირობებს: **(01-32, 27.03.2024)**

სტუდენტთა ჯგუფი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი	**სწავლაში მხარდაჭერის ღონისძიებები და საშეღავათო პირობები**
ფიზიკური შეზღუდვის მქონე	ენიშნება პირადი ასისტენტი, რომელიც სტუდენტს ეხმარება გადაადგილებაში და საჭიროების შემთხვევაში ლექციების დროს ჩანაწერების წარმოებაში
ინტელექტუალური განვითარების დარღვევით	განესაზღვრება დამატებითი საგამოცდო დრო
სენსორული განვითარების დარღვევით (სმენის და/ან მხედველობის);	ენიშნება პირადი ასისტენტი და განესაზღვრება გამოცდების ჩაბარებისა და აღდგენის შესაძლებლობა ინდივიდუალური გრაფიკი
• მეტყველების განვითარების დარღვევით • ქცევითი და ემოციური დარღვევით • გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროებით • შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის ან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ან სხვა	✓ შუალედური გამოცდის ჩაბარების/აღდგენის უფლება შუალედური გამოცდის/აღდგენის კვირაში ინდივიდუალური გრაფიკით; ✓ დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ჩაბარების/აღდგენის უფლება დამატებითი გამოცდების პერიოდში ინდივიდუალური გრაფიკით; ✓ უფლება ეძლევა ინდივიდუალური, დეკანატთან შეთანხმებული გრაფიკით მოახდინოს საპატიო

სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლები (გარდა სავალდებულო სამხედროს სამსახურის ფარგლებში დასაქმებული), რომელთაც აქვთ საქმიანობის არასტანდარტული გრაფიკი • სპორტულ, კულტურულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ ან/და შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ჩართული	მიზეზით გაცდენილი აქტივობების გონივრულ ფარგლებში/ვადებში აღდგენა. <u>განმარტება:</u> ასეთმა პირმა გამოცდების აღდგენის უფლების გამოსაყენებლად, შუალედური გამოცდის/აღდგენის კვირამდე, აგრეთვე დასკვნითი/დამატებითი გამოცდების პერიოდამდე არანაკლებ 7 დღით ადრე უნდა მიმართოს დეკანატს ინდივიდუალური გრაფიკის შესათანხმებლად.
• პატიმრობაში მყოფი (ბრალდებული, მსჯავრდებული) სტუდენტები.	შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან (სასჯელაღსრულების დაწესებულება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) შეთანხმებით სტუდენტს საშუალება აქვს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე შეასრულოს დავალებები, დისტანციურად დაწეროს გამოცდები. გარდა ისეთი დისციპლინებისა, რომლებიც მოითხოვენ პრაქტიკულ მეცადინეობებს და აუცილებელ დასწრებას.
• სტუდენტები, რომელთა მიმდინარე პროგრამაში დაგეგმილია ცვლილებები; • მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები; • გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტები; • აკადემიური ჩამორჩენის მქონე სტუდენტები.	ამ ტიპის სტუდენტებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განესაზღვრებათ ინდივიდუალური სემესტრული დატვირთვა.
• სტუდენტები, რომლებმაც ჩააბარეს სხვა უცხო ენა გარდა ინგლისურისა.	სტუდენტებს, რომლებმაც ჩააბარეს სხვა უცხო ენა, გარდა ინგლისურისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ესაჭიროებათ ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება, ენების ცენტრი უზრუნველყოფს დამატებითი მეცადინეობების შეთავაზებას.
• უცხოელი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უცხოენოვან პროგრამებზე.	უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ადაპტირების მიზნით, სასწავლო სემესტრის დაწყებამდე აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ შესავალი კურსები ქართულ ენასა და კომპიუტერულ უნარებში. ეს უადვილებთ მათ სასწავლო პროცესში შემდგომ ინტეგრაციას.
• საქართველოს მოქალაქე და რეპატრიანტი სტუდენტები.	სტუდენტებს, რომელთათვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა და სწავლობენ ქართულენოვან პროგრამებზე, ენების ცენტრი უზრუნველყოფს დამატებითი მეცადინეობების შეთავაზებას ქართულ ენაში.

თავი III
შეფასების სისტემა

მუხლი 8. ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა

1. სასწავლო პროცესში თითოეული სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS).
2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 9. სტუდენტთა შეფასება

1. კრედიტის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” 4.7 მუხლის “ა” ქვეპუნქტით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
3. სტუდენტის მიერ სწავლების პერიოდში გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
   ა) შუალედურ შეფასებებს - 40 ქულა;
   ბ) შუალედურ გამოცდას - 20 ქულა;
   გ) დასკვნით გამოცდას - 40 ქულა.

3[1]. პროგრამის განმახორციელებელთა გადაწყვეტილებით, სტუდენტთა შეფასება შესაძლოა იყოს განსხვავებული თანაფარდობით, მაგრამ დასკვნითი შეფასება არ შეიძლება იყოს საერთო შეფასების 40%-ზე მეტი და 30%-ზე ნაკლები. **(01-120, 02.10.2023)**

4. სასწავლო კურსის/კურსების/საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესორს უფლება ენიჭება, შუალედური შეფასებებისათვის გათვალისწინებული 60-70 ქულა თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს შეფასების კომპონენტებს შორის, დაგეგმოს საკურსო და ფინალური პროექტების დაცვისა თუ რეფერატების პრეზენტაციის ვადები, გადაწყვიტოს შუალედური გამოცდების რაოდენობის საკითხი.
5. სტუდენტის შეფასება წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული კომპონენტებით ხორციელდება ყოველ სემესტრულად.
6. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.
7. უნივერსიტეტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.
8. დადებით შეფასებას განეკუთვნება:
   ა) (A) ფრიადი - 91–100 ქულა;
   ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
   გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
   დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
   ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; **(01-56, 04.06.2024)**
9. უარყოფით შეფასებას განეკუთვნება:
   ა) (FX) ვერ ჩაბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
   ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **(01-56, 04.06.2024)**

10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ECTS სისტემით დადგენილი ქულათა ოდენობის ფარგლებს შიგნით შემოიღოს დამატებითი „-„ და „+“ გრადაციები თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური მიღწევების უკეთ წარმოჩენისათვის,
11. სწავლების პერიოდში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს მთელი სწავლების პერიოდში, მათ შორის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.
12. სტუდენტი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს რომელიმე სასწავლო კომპონენტში გეგმიური სააუდიტორიო მეცადინეობების ნახევარზე მეტს, ლექტორის გადაწყვეტილებით არ იქნება დაშვებული დასკვნით გამოცდაზე **(01-24, 11.03.2022, 01-137, 08.11.2024)**
13. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30/40 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 16 ქულის მიღების შემთხვევაში. ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციითა და რექტორის ბრძანებით, შესაძლებელია კონკრეტულ პროგრამა(ებ)ზე დადგინდეს უფრო მაღალი ზღვარი, მაგრამ არაუმეტეს გამოცდის ქულის რაოდენობის 60%-ისა. **(01-75, 02.07.2018)**
14. დანარჩენი 60/70 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით სილაბუსების შესაბამისად.
15. სტუდენტი დასკვნით გამოცდის გადასაბარებლად გადის იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა შეიძლება დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
16. ამოღებულია. **(01-137, 08.11.2024)**
17. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფას ებებით დაგროვებული აქვს მინიმუმ 25 ქულა. ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციითა და რექტორის ბრძანებით, შესაძლებელია კონკრეტულ პროგრამა(ებ)ზე დადგინდეს უფრო მაღალი ზღვარი, მაგრამ არაუმეტეს შუალედური შეფასებების ქულების მაქსიმალური რაოდენობის 60%-ისა. **(01-75, 02.07.2018)**
18. სტუდენტს უფლება აქვს შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგი გაასაჩივროს ფაკულტეტის სააპელაციო კომისიასთან, გაცნობიდან 2 დღის ვადაში წერილობითი ფორმით. გაცნობად ითვლება ნიშნის ასახვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სააპელაციო კომისია ვალდებულია პროტესტი განიხილოს 3 სამუშაო დღის ვადაში ნაშრომის შემფასებელთან კომუნიკაციით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ განცხადების უსაფუძვლობის მიზეზით ან გადასცეს ნაწერი იმავე მიმართულების სხვა პროფესორს ხელახალი შემოწმებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ხელახალი შემოწმების შედეგად განსაზღვრული შეფასება 10%-ზე მეტით განსხვავდება საგნის ლექტორის შეფასებისგან, ნაწერი გადაეცემა მესამე შემმოწმებელს, რომლის შემოწმების შედეგის საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას ქულის საშუალო არითმეტიკულით კორექტირებაზე. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. **(01-111, 20.09.2018) (01-120, 02.10.2023)**
19. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:
    ა) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 41-დან 51 ქულამდე;
    ბ) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი;
    გ) საპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა, წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება და მოიპოვა დეკანის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში, შუალედური შეფასებებით მოპოვებული ქულების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 25 ქულა. **(01-05, 12.01.2024)**
20. სტუდენტი, რომელიც საპატიო მიზეზით გააცდენს შუალედურ გამოცდას და გამოცდების დასრულებიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგენს განცხადებას შესაბამისი მტკიცებულებით, ფაკულტეტის დეკანის თანხმობის შემთხვევაში, უფლება აქვს, გავიდეს

შუალედური გამოცდის აღდგენაზე. შუალედური გამოცდის აღდგენა ხდება სწავლის დაწყებიდან მე-14 კვირის განმავლობაში. **(01-162, 16.11.2018)**

21. ამ წესის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ითვლება მძიმე ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის საგანგებო რეჟიმი, სტიქიური უბედურება ან საგანგებო მდგომარეობა. (სტუდენტების მხრიდან გამოცდის აღდგენის განცხადებაზე თანდართული სამედიცინო ცნობის - ფორმა №100-ის გადამოწმება მოხდება შემთხვევითობის პრინციპით, თითოეულ ფაკულტეტზე წარმოდგენილი რაოდენობიდან - 10 ცნობა.) **(01-05, 12.01.2024)**

21[1]. თუ სტუდენტი საპატიო მიზეზის ვერცერთ მტკიცებულებას ვერ წარმოადგენს, თუმცა დაწერს განცხადებას, სადაც დეტალურად აღწერს გამოცდის გაცდენის მიზეზს, დეკანს აქვს დისკრეციული უფლება, რომელიმე საპატიო მიზეზის გარეშეც დაუშვას სტუდენტი გამოცდის აღდგენაზე. ამისათვის დეკანი სტუდენტის განცხადებას დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას აწერს და საგამოცდო ცენტრს გადასცემს შესაბამის ინფორმაციას. **(01-05, 12.01.2024)**

22. სტუდენტის საბოლოო შეფასების ასახვა ხდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში და ჯგუფის მიხედვით დაბეჭდილ საგნობრივ უწყისში. უწყისს ხელს აწერს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორი/მოწვეული ლექტორი და სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა გადაეცემა სტუდენტთა მომსახურების სამსახურს. პრაქტიკულ/კლინიკურ საგნებში შესაძლებელია ხელმოწერილი უწყისის სკანირებული ვერსიის გადაგზავნა ფაკულტეტის დეკანთან/პროგრამის ხელმძღვანელთან. **(01-98, 19.07.2023)**

23[1]. მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური მოდულის სახით არსებულ სასწავლო კურსებზე, მოდულის თითოეულ კომპონენტზე იქმნება დამოუკიდებელი უწყისი, რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი პროფესორი/მოწვეული ლექტორი. კლინიკური მოდულის თითოეული კომპონენტის უწყისის მონაცემების გათვალისწინებით, მოდულის ერთიან უწყისზე ხელს აწერს პროგრამის ხელმღვანელი და ფაკულტეტის დეკანი. **(01-98, 19.07.2023)**

23. იმ შემთხვევაში, თუ უწყისზე ხელმოწერა ვერ განხორციელდა სასწავლო კურსის პროფესორი/მოწვეული ლექტორის მხრიდან საგამოცდო პერიოდის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, უწყისს ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორის ელექტრონული დასტურის (გონი ან ელექტრონული ფოსტა), სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ან, საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის საფუძველზე.

24. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

25. ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით: GPA = (X-50)x 0,06 +1, სადაც X არის სასწავლო კურში მიღებული ქულა.

GPA-ს გამოთვლის წესი	
რიცხვითი ეკვივალენტი	**ქულა**
100	**4**
99	**3.94**
98	**3.88**
97	**3.82**
X	**(X-50)x0,06+1**
51	**1,06**

1-50	0

26. GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). FX და F შეფასება GPA–ს გამოთვლაში 0-ის ტოლია. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, რა დროსაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებებიც.
27. სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტის შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით: GPA(შემაჯამებელი) = (∑ თითოეული სასწავლო კურსის GPA × შესაბამის კრედიტზე) / ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე.
28. დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტის შეფასება ხდება ამ წესის პრინციპებით, თუ „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებისა“ და სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული არ არის შეფასების განსხვავებული სისტემა. **(01-32, 27.03.2024)**

მუხლი 10. ინტენსიური სწავლების კურსი

1. მსურველ სტუდენტთა საკმარისი რაოდენობის (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მინიმუმ 3-5 სტუდენტი) შემთხვევაში, უნივერსიტეტი ატარებს სასწავლო კურსის ინტენსიურ კურსს. სტუდენტს ინტენსიური კურსის გავლის უფლება აქვთ შემდეგ შემთხვევაში:
   ა) სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება განვლილ სემესტრ(ებ)ში;
   ბ) მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს, რომელსაც არ გაუვლია კონკრეტული სასწავლო კურსი და მისი გაუვლელობა მნიშვნელოვნად აფერხებს შემდეგ სემესტრებში სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;
   გ) სტუდენტს, რომელსაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე აუცილებლად ესაჭიროება კონკურეტული სასწავლო კურსის გავლა.
2. ინტენსიური სწავლების კურსი არის სემესტრის შემადგენელი ნაწილი და ტარდება დასკვნითი გამოცდების შემდეგ 3,5 კვირის განმავლობაში.
3. ინტენსიური კურსის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს არაუმეტეს 7 კრედიტის შესატყვისი საგანი/საგნები.
4. ინტენსიური კურსის ფარგლებში ტარდება ყველა ის სასწავლო დატვირთვა, რაც გაწერილია სილაბუსით.
5. ინტენსიური სწავლების კურსის გავლას სტუდენტი ახორციელებს თვითდაფინანსებით.
6. სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნით, მთელი სემესტრის განმავლობაში შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო კურსის სწავლება, რომელიც კურიკულუმით არ არის გათვალისწინებულ მიმდინარე სემესტრში (პარალელური კურსი).
7. ინტენისური კურსისა და პარალელური კურსის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ფაკულტეტებიდან მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.

7[1]. ინტენსიური კურსის ხელმძღვანელად დეკანატი შეარჩევს ლექტორს (აკადემიური პერსონალი ან მოწვეული ლექტორი), რომელიც კონკრეტულ სემესტრში არ ახორციელებდა ამ საგნის სწავლებას. **(01-11, 01.02.2023)**

8. ინტენსიური კურსის ღირებულება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით, ქართულენოვან პროგრამებზე ერთი კრედიტის ღირებულება 65 ლარის, ხოლო უცხოენოვან პროგრამებზე - 80 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ტექნიკური საშუალებების გამოყენება სასწავლო პროცესში

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პროფესორებს შორის უწყეტ კავშირს და ვირტუალურ სივრცეში ცოცხალ კომუნიკაციას სასწავლო მასალებთან და სალექციო პროცესთან დაკავშირებით.
2. პროფესორი ნიშნავს ონლაინ და კონტაქტურ საკონსულტაციო საათებს, რომლის შესახებ ინფორმაცია მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსში.

თავი IV
სტუდენტის სტატუსის ცვლილება

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ცნება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების დროებითი შეჩერება, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობით ან შესრულების მომავალი შეუძლებლობით.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ატარებს დროებით ხასიათს და წყდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რასაც შედეგად მოსდევს პირის სტუდენტის უფლებებში სრული აღდგენა ან სტატუსის შეწყვეტა.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის პირისათვის სტუდენტის სტატუსით მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლება, მის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის, სტუდენტისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია ჯამში 5 წლის ვადით. **(01-32, 27.03.2024)**

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

1. პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ფინანსური დავალიანება;
   გ) საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა;
   დ) ავადმყოფობა ან სხვა დაუძლეველი ძალა, რომელიც შეუძლებელს ხდის პირის სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობას;
   ე) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში;
   ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერება (სავალდებულო დაზღვევა და სხვა). **(01-126, 12.11.2020)**
   ზ) აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან (დაგვიანების შემთხვევაში სემესტრის დაწყებიდან) 45 კალენდარული დღის განმავლობაში ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ სტუდენტს არც ერთ კომპონენტში შეფასება არ აქვს მიღებული. **(01-32, 27.03.2024)**
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა შეჩერების მომენტიდან 5 წელი. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის აღუდგენლობის შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით.
6. იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია, სწავლა გააგრძელოს ყველაზე ახლოს მდგომი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. სტუდენტს სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სემესტრული სწავლების საფასური უკან არ დაუბრუნდება.
8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან 5 დღის ვადაში. ბრძანების გაცნობად ითვლება სტატუსის შესახებ

ინფორმაციის ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. საჩივარს განიხილავს რექტორი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ჯამში 5 წელზე მეტი ვადით. (სტატუსის შეჩერების ათვლა დაიწყო 2024 წლის 1 მარტიდან); **(01-32, 27.03.2024)**
   გ) სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (დამატებითი სემესტრების განმავლობაში სტუდენტი ვერ ამთავრებს პროგრამას);
   დ) სტუდენტისათვის შეუთავსებელი ქმედების ჩადენა.
   ე) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტს გარეთ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.
   ვ) პლაგიატი;
   ზ) უნივერსიტეტის, მისი პერსონალისა და სტუდენტებისათვის შეურაცხყოფის ან სხვა სახის ზიანის განზრახ და უხეში ფორმებით მიყენება, ეთიკის კოდექსის ან სხვა სამართლებრივი აქტის დარღვევა იმდაგვარად, რომ საფრთხე შეექმნა სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებს;
   თ) ყალბი ან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენა;
   ი) ერთ სასწავლო კურსზე სამჯერ ჩაჭრა;
   კ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტების რეესტრში მობილობის წესით გადასული სტუდენტების შესახებ სტატუსის ცვლილება;
   ლ) სტუდენტის გარდაცვალება. **(01-126, 12.11.2020)**
2. სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, ვალდებულია ინფორმირებული იყოს აღნიშნულის შესახებ და მას უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრებების, ახსნა-განმარტების და მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის დასაბუთებელი ბრძანებით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, რა ვადაშიც პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და სასწავლო ხელშეკრულების მოშლა საჩივრდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობის მიხედვით.
6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 15. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტი უფლებამოსილია სტატუსის შეჩერების მომენტიდან 5 წლის განმავლობაში პირადი განცხადების საფუძველზე აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში ჩართვის გარეშე სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.
2. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში.
3. გამონაკლის შემთხვევებში, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში.

4. სტუდენტს, რომელსაც გავლილი აქვს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია და სემესტრის განმავლობაში ფინანსური დავალიანების გამო ან სხვა მიზეზით შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, უფლება აქვს იმავე სემესტრში მოახდინოს აღდგენა. სტატუსის აღდგენა შესაძლებელია შეჩერებიდან 4 კვირის ვადაში.
5. სტუდენტს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით სტატუსი აღუდგა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და გამოტოვა სასწავლო პროგრამით განსაზღვრული მეცადინეობები, გაცდენილი საათების ანაზღაურება მოხდება ინდივიდუალური გრაფიკით.
6. სტატუსის აღდგენის დროს, სტუდენტი იხდის მხოლოდ მიმდინარე სემესტრის გადასახადს. სტატუსის შეჩერების მომენტისათვის მიმდინარე სემესტრში გადახდილი თანხა არ გადმოდის აღდგენის სემესტრის ანგარიშში.
7. სტატუსის შეჩერების მომენტისათვის გადახდილი სწავლების საფასური სტატუსის აღდგენის დროს შესაძლებელია გადავიდეს სტუდენტის მიმდინარე გადასახადში, თუ სტუდენტმა სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში საკუთარი განცხადებით შეიჩერა სტატუსი. ასევე, თუ სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სტატუსის შეჩერებას მოითხოვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ან უცხოეთში სასწავლებლად ყოფნის მიზეზით და წარმოადგენს ამის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტს.
6. სტუდენტის სტატუსის აღდგენის განცხადებას თან უნდა დაერთოს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თავი V
სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 16. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს, მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი უმაღლესი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების, აგრეთვე ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი უნივერსიტეტის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.
3. კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა უნივერსიტეტის სტუდენტი უფლებამოსილია:
   ა) მოსთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
   ბ) მიიღოს მონაწილეობა საუნივერსიტეტო აქტივობებში, ისარგებლოს უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
   გ) მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის სხვა რესურსების შესახებ;
   დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
   ე) დადგენილ ვადაში აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები, ან მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
   ზ) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აკადემიური პერსონალისა და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეფასებაში;
4. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით განცხადებით მიმართავს დეკანს/რექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი

და პრეტენზიები არ დაკმაყოფილდება, სტუდენტი 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს წერილობით დასაბუთებას უარის შესახებ საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტაზე.

5. პირველი სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ფაკულტეტის დეკანი ხვდება პირველკურსელებსა და მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებს და განუმარტავს უნივერსიტეტში არსებულ შეფასების სისტემას, სასწავლო კალენდარს, სწავლის საფასურის გადახდის ვადებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვის წესებსა და ამ მიზნით კონსულტაციების მიღების გზებს, სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ რეგულაციებს და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს.
6. სტუნდენტს წვდომა აქვს სასწავლო პროგრამასთან, რაც შესაძლებლობას აძლევს დაგეგმოს სასწავლო პროცესი ან გააუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციისთვის მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. დეკანატი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მხრიდან შესაბამისი კონსტულტაციის გაწევას. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო კურსების სემესტრულ დაგეგმვასთან დაკავშირებით იქმნება გაწერილი გეგმა, რომლის ასლი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო დედანი სტუდენტის ხელმოწერით დადასტურებული ინახება პირად საქმეში.

მუხლი 17. სტუდენტის მოვალეობები

1. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
   ა) დაიცვას კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, აღნიშნული წესი, ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
   ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები;
   გ) შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მუხლი 18. მობილობა და შიდა მობილობა

1. სტუდენტს უფლება აქვს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად შეიცვალოს უნივერსიტეტი (მობილობა) ან უნივერსიტეტის შიგნით შეიცვალოს საგანმანათლებლო პოგრამა (შიდა მობილობა).
2. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სწავლების ერთი წელი აქტიური სტუდენტის სტატუსით.
3. შიდა მობილობის საფუძველზე სტუდენტს უფლება აქვს შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა. შიდა მობილობის განხორციელება შესაძლებელია ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის შემდეგ.
4. რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლა შესაძლებელია შეიზღუდოს დამატებითი მოთხოვნების დაწესებით, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.

მუხლი 19. სწავლის შედეგების აღიარება

1. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლების შედეგები ექვემდებარება აღიარებას იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს სწავლას.
2. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე უნივერსიტეტი განსაზღრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დონეზე განაგრძობს სტუდენტი სწავლას და რამდენი კრედიტის დაძლევა არის აუცილებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.
3. აღიარებას ექვემდებარება:

ა) საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული პროგრამები.

ბ) არაავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ის ნაწილი, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტებულად ითვლება.

გ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები.

4. აღიარებას არ ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნენა უმაღლესი განათლების პროგრამებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ის პროგრამები, რომლებზეც ჩარიცხვა არ განხორციელებულა კანონმდებლობით დადგენილი წესით (არააკრედიტებული და თავისუფალი მსმენელის პროგრამები).
5. პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის მოთხოვნისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძელზე.
6. პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე შესაძლებელია მოიცვას სტუდენტის მიერ გავლილი საგნების ამსახველი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსები) შინაარსობრივი კვლევა.
7. პირის მიერ გავლილი საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც თავისუფალი სასწავლო კურსები (თავისუფალი კრედიტები) იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალი კრედიტების არსებობას.
8. პროგრამის აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
9. უნივერსიტეტი აღიარებს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.
10. კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „კრედიტების აღიარების წესის“ შესაბამისად, რომლის შედეგად განისაზღვრება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სემესტრიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი.

თავი VI
კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს პროგრამისთვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას და სრულად შეავსებს კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლო და კვლევით (არსებობის შემთხვევაში) კომპონენტებს: **(01-32, 27.03.2024)**

   ა) საბაკალავრო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს;

   ბ) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - არანაკლებ 300 კრედიტს;

   გ) მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - არანაკლებ 360კრედიტს;

   დ) სამაგისტრო პროგრამაზე – არანაკლებ 120 კრედიტს;

   ე) სადოქტორო პროგრამაზე - არანაკლებ 180 კრედიტს.

1. სტუდენტს ბაკალავრის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებიდან არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.

3. მაგისტრანტს მაგისტრის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებიდან არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შედეგად.
4. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

4[1]. სტატუსაღდგენილი, მობილობით ან შიდა მობილობით გადმოსული, აკადემიური ჩამორჩენის მქონე (მიმართვის შემთხვევაში) და დამამთავრებელი კურსის ყველა სტუდენტისათვის პროგრამის ხელმძღვანელი სემესტრის დაწყებამდე ადგენს ინდივიდალურ სასწავლო გეგმას, რაც მოიცავს შემდეგ სემესტრ(ებ)ში გასავლელი საგნების ზუსტი ჩამონათვალის განსაზღვრას. ამასთან, იდენტიფიცირებას ახდენს მიმდინარე ან მომდევნო სემესტრში დამამთავრებელი სტუდენტების. **(01-162, 16.11.2018)**

4[2]. დამამთავრებელ სტუდენტთა სიას პროგრამის ხელმძღვანელი გადასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს, რომელიც სემესტრის შედეგების შესაბამისად აკორექტირებს მას და ადგენს დამამთავრებელ სტუდენტთა ზუსტ სიას. დამამთავრებელ სტუდენტთა პირადი მონაცემების (სახელი, გვარი (ქართულ-ინგლისურად), პირადი ნომერი და დაბადების თარიღი) სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი დეკანატი. **(01-162, 16.11.2018)**

5. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებისა და კრედიტების სათანადო რაოდენობის ათვისების შემდეგ, ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. ფაკულტეტის გადაწყვეტილებას ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. **(01-162, 16.11.2018) (01-24, 11.03.2022)**

5[1]. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის გადაწყვეტილების პროექტს საბოლოო შეფასებების ასახვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს პროგრამის ხელმძღვანელი და გადასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორსა და ფაკულტეტის დეკანს, რომლებიც გადაწყვეტილების პროექტის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებენ და ხელს აწერენ. ხელმოწერილი ფაკულტეტის გადაწყვეტილება ინომრება კალენდარული წლის შესაბამისად რიგითობით. **(01-162, 16.11.2018)**

6. ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს-დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად: **(01-32, 27.03.2024)**
   ა) წარჩინების დიპლომი - GPA 3.5 და მეტი კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;
   ბ) ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.
7. დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს უკვე ჩაბარებული საგნ(ებ)ის ხელმეორედ გავლის უფლებით, მაგრამ არაუმეტეს 3 საგნისა, კრედიტების კვოტის გათვალისწინებით. საგნ(ებ)ის ხელმეორედ გავლის მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის თანხმობის შემთხვევაში, სტუდენტი რეგისტრირდება იმ ჯგუფთან, რომელიც მიმდინარე სემესტრში გადის კონკრეტულ საგნ(ებ)ს. სტუდენტის მიერ უკვე გავლილი საგნ(ებ)ის შედეგები არ უქმდება, ვიდრე არ დადგება ხელმეორედ გავლილი საგნ(ებ)ის შედეგები. **(01-24, 11.03.2022) (01-83, 01.07.2022)**
8. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით განსაზღვრულ დროში ვერ დააგროვებს სათანადო კრედიტების რაოდენობას, მას შეუძლია დამატებით გაიაროს არაუმეტეს 4 სემესტრისა.

9. დამატებითი სემესტრის გავლის დროს სტუდენტი სემესტრულ გადასახადს იხდის სრულად. გამონაკლის შემთხვევაში, სტუდენტის ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით, კანცლერის გადაწყვეტილებით, შესაძლოა, დადგინდეს კრედიტების მიხედვით გადახდა. ერთი კრედიტის ღირებულება გამოითვლება იმ დროისთვის უნივერსიტეტში დადგენილი სწავლის სემესტრული გადასახადის 30-ზე გაყოფით.
10. თუ სტუდენტი დამატებით სემესტრებშიც ვერ შეძლებს პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებას, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.
11. თუ სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში ერთსა და იმავე საგანში სამჯერ ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.
12. სწავლის თითოეული საფეხურის გავლის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დადგენილი ფორმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, თავისი დანართით. **(01-32, 27.03.2024)**

მუხლი 21. საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭება

1. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან აკადემიურ საქმიანობაში პროფესიული აღიარებისთვის.
2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:
   ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;
   ბ) აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;
   გ) უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;
3. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭება ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
4. საპატიო დოქტორის წოდების მფლობელ პირზე გაიცემა საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს კანცლერის ბრძანების საფუძველზე.
2. ახალი წესის მიღებით ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე დოკუმენტი.
3. წინამდებარე წესს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს უნივერსიტეტის კანცლერისა და უნივერსიტეტის რექტორის სხვა აქტებით დადგენილ ნორმებთან, თუ ისინი განსხვავებულად აწესრიგებენ ამ წესით გათვალისწინებულ სამართალურთიერთობებს.